

**ჟარგონები და ბარბარიზმები  
ქართულ ზეპირსიტყვიერებაში**  
**BARBARISMS AND SLANG  
IN GEORGIAN FOLKLORE**

**ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძე**  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქუთაისი, საქართველო

**Nora Nikoladze-Lomsianidze**  
Akaki Tsereteli State University  
Kutaisi, Georgia

**ABSTRACT**

The Georgian language is one of the ancient and cultural languages of the world. The literary Georgian is both rich and simple, vernacular and sophisticated. The literary language, both written and oral, follows certain rules and norms in which it differs from territorial or social dialects.

Modern day life clearly shows increased use of barbarisms and slang. Such vocabulary is not only actively used in the streets of cities and villages as well as other public places but it also has a gradual strong presence in radio and TV broadcasting context and the speech of public officials.

In literary works, barbarisms are used for the description of characters as well as of the social environment, and for the depiction of other peoples' everyday life, locations and local color.

Barbarisms and slang words and phrases are rather frequent in folklore as well. We frequently encounter words and expressions such as bazari araa! (No question about it), *ḡaroče* (to cut a long story short; in short), *magra mevaseba* (I like him/her/it very much), *goimia* (he/she is tacky (uneducated), *ḡargi roḡaa* (he/she is a good person), *maquti (puli) misca* (he/she gave him/her money), *mariaḡobs* (he/she acts deceptively, he/she is showing off)! *ver gakača* (could not make it) and so on. This type of vocabulary is actively used mostly by the younger generation.

The article analyzes the material (a rhyme-like dialogue between father and son) that we have recorded in Surami which explicitly demonstrates the tendency of the excessive use of slang and barbarisms in contemporary speech.

**საკვანძო სიტყვები:** ბარბარიზმები, ჟარგონები, ქართული ზეპირსიტყვიერება

**Keywords:** Barbarisms, slangs, Georgian folklore.

ქართულ ენას მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და კულტურული ენათაგანია.

ქართული ენა ეროვნული ენაა. იგი ქართველების დედაენაა, რომელიც ქართველი ხალხის ხანგრძლივი და თავდადებული შემოქმედების პროდუქტია. ეს ენა ისევე ძველია, როგორც თვით ქართველი ხალხი და მისი გმირული ისტორია.

ვარლამ თოფურიას აზრით, „ქართულ ენაში ასახულია ქართველი ერის წარსული, აწმყო და მომავალი, მისი ზნეობრივი და გონებრივი ცხოვრება“.

სწორედ ამიტომაც, განსაკუთრებით, სამოციანელთა ეროვნულ კონცეფციაში ცენტრალური ადგილი ეჭირა როგორც მამულისა და სარწმუნოების, ისე ქართული ენის დაცვასა და სიწმინდეს. მაგრამ ისმება კითხვა: დღესდღეობით არის თუ არა ზოგჯერ გადახვევა სალიტერატურო ენის ნორმათაგან?

ქალაქისა თუ სოფლის ქუჩებში, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, რადიომაუწყებლობასა და ტელევიზიაში ხშირად გავიგონებთ ბარბარიზმებსა და ჟარგონებს.

ქართველი ერის დიდი მოჭირნახულე, ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ დაუღალავი მებრძოლი ილია ჭავჭავაძე სამწერლო - საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისთანავე ხმადაღლა განაცხადებს:

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამაპაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება; თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“ (ჭავჭავაძე 1953: 26-27).

ილია და მისი უერთგულესი თანამებრძოლები: აკაკი წერეთელი, იაკობ გოგობაშვილი, ნიკო ნიკოლაძე და სხვა სამოციანელები შეუპოვრად ებრძოდნენ ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას, ჩვენი ქვეყნის მტრებს, ეროვნული კულტურის ყოველ უბანზე. ისინი მტკიცედ იცავდნენ ქართულ ენას, მის სიწმინდეს, მის უფლებებს. მასში ხედავდნენ ხალხის საციცოცხლო ძალას.

ილია აღნიშნავდა: „რადგან არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა, ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარი მოხელეობისა ყველაზე უწინარეს ენას მისწვდა“ (ჭავჭავაძე 1984: 829). „სხვისა არ ვიცი და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ენის მიწასთან გასწორებას“, „ენა პირველი ნიშანია ერის ვინაობისა“, „ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“ (ჭავჭავაძე 1953: 26-27).

აკაკის აზრით, „ენა უტყუარი და ძვირფასი განძია ხალხისა“ (წერეთელი 1960: 68). „ენა გრძნობა - გონების გზა და ხიდია, და სიტყვიერება მისივე სარკეა: ენის გარეშე აზროვნების განვითარების გზა დახშულია“ (აბზიანიძე 1959: 103).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამოციანელებს უდიდესი ღვაწლი მიუძღვით ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრება-განვითარების, დაცვისა და სიწმინდის საქმეში.

ახალი სალიტერატურო ენა მდიდარია და სადა, ხალხურია და დახვეწილი. ლიტერატურული ენა, როგორც წერილობითი, ისე ზეპირიც,

ემორჩილება გარკვეულ წესებს, გარკვეულ ნორმებს, ლიტერატურული ენა ნორმირებული ენაა. სალიტერატურო ენის ნორმები მტკიცედაა ჩამოყალიბებული და ყველა ჩვენგანის ვალია მტკიცედ დავიცვათ. მაგრამ ისმება კითხვა: დღესდღეობით არის თუ არა ზოგჯერ გადახვევა სალიტერატურო ენის ნორმათაგან?

ქალაქისა თუ სოფლის ქუჩებში, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, რადიომაუწყებლობასა და ტელევიზიაში ხშირად გავიგონებთ ბარბარიზმებსა და ჟარგონებს. ნ მათ ხალხურ სიტყვიერებაშიც დაიმკვიდრეს ადგილი.

როგორც ცნობილია, „ჟარგონი ფრანგული სიტყვაა. ის ვიწრო სოციალური ჯგუფის (მოსწავლეების, სამხედრო პირების და სხვ.) მეტყველებაა. საერთო ენისაგან განსხვავებულია მხოლოდ ლექსიკით... ჟარგონს არ ახასიათებს ზუსტი ტერმინოლოგია (ამით განსხვავდება პროფესიული ენისაგან) და არ არის საიდუმლო ენა (ქურდების არგოსაგან განსხვავებით). ის ნაირენოვანი მოსახლეობის საურთიერთობო მეტყველებაა“ (ენციკლოპედია, 1977: 244).

ბარბარიზმი ბერძნული სიტყვაა. ის ამა თუ იმ ენის ბუნებისათვის შეუფერებელი გამონათქვამი ან სიტყვაა, რომელიც შექმნილია სხვა ენის წესის მიხედვით... ბარბარიზმი ისეთი კალკია, რომელიც არღვევს მოცემული ენის სალიტერატურო ნორმას. ბარბარიზმად ითვლება აგრეთვე საჭიროების გარეშე ნახმარი უცხო სიტყვები.

მხატვრულ ლიტერატურაში ბარბარიზმს მიმართავენ პერსონაჟის დასახასიათებლად, სოციალური გარემოს დასახატავად, სხვა ხალხთა ყოფის რეალიების, ადგილის, კოლორიტის გადმოსაცემად. ბარბარიზმების ხაზგასმული სიჭარბით ხმარებას „მაკარონული მეტყველება“ ეწოდება“ (იქვე: 203).

ჩვენი თანამედროვე ცხოვრების თითქმის ყოველდღიურ ნორმად იქცა ისეთი სიტყვები, გამოთქმები და ურთიერთმიმართვები როგორიცაა: აახვიე აქედან! ნუ გამიხურე საქმე! ბაზარი არაა! კაროჩე, მოკეტე რა! მაგრა მევასება! ჩაზმანული ვარ, ნუ ბლატაობ! კარგად გაიჩითა, გოიმიია, უპლეტა, სროკი აჰკიდა, ჩაუშვა, ბებია გიჭყავის! თავის მოტორზე ვერ არის, ლომკები დაეწყო, კარგი როჟაა, მაცუთი მისცა, ნუ მარიაჟობ! ტუზი დაეცა, გამოქლიავდა, კარგად ღადაობს, ყოფა ეტირა, ჩანგალზე მივდივარ, ჯიგარი ხარ! გოგო დააბა, კარგად ვერ გაქაჩა, აითესა, იშოპინგე! სად იყიდე ეს საროჩკა? ტამოჟნიაზე გადავედი, შტანგა წაიქცა, კალბასი და პერაშკები ვიყიდე, პოლზე ფეხი ამიცდა, ბაგაჟნიკი გავხსენი, ერთი პორცია მომიტანე! ეს დუხი საჩუქრად მიინდა, ბალკონზე გავედი, პაკრიშკა დაეშვა, პლიტა ჩავრთე, სემიჩკა ჩამიყარე! იუბკა მომეწონა, ბაკი გამიფუჭდა, საპოშკები ჩავიცვი, ბავშვები საკატაოდ წავიდნენ, ვერ მოგცემ მაგის გარანტიას, კიოსკში გაზეთები ვიყიდე, ნინო თამარს ხშირად ემესიჯება, პარლამენტში კონსენსს ვერ მიაღწიეს, ქვორუმიც არ იკრიბება, კომფორტულ სახლში ცხოვრობს, დებატები და ასეთი მაჟორული შეხვედრები ხშირად უნდა გაიმართოს და სხვ.

ჟარგონებმა და ბარბარიზმებმა ქართულ ხალხურ სიტყვიერებაშიც დაიმკვიდრეს ადგილი. რამდენიმე წლის წინ დაბა სურამში ავტორი-

მთქმელი დავით ტაბატაძისაგან ჩავიწერე ლექსი. სოფლიდან ქალაქ თბილისში უმაღლესი განათლების მისაღებად ჩასული შვილი ასეთ წერილს უგზავნის მამას:

**შვილი:**

პრივეტ რა, სიმონ, იტოგში,  
ტიპი გწერ მონატრებული,  
მე უკვე სტოპრი სვეტი ვარ,  
ყველა კუტლკში ქებული.  
მამი, აზრზე ხარ? პირველად  
გოიმიც მაშაყირებდა,  
რომ ვტასაობდი, ქუჩაში  
რამდენი ნაშა მირევდა.  
ვეღარ ვმაზავდი ლექციებს,  
დეკანი ტეხდა ხიპიშსა,  
მაგ არიფს თვითონ მოვტეხავ,  
ოღონდაც ნაგლად მიმიშვან.  
საგნებში დავსპაკონდი,  
ჯიგარ, ხარ ჩემი სპონსორი,  
რომ ვიჩალიჩო, ეგრევე,  
გავხდები სტოპრ პროფესორი.  
მაყუთი ცოტა მიტეხავს,  
ტო, ეგ ხომ შენი ბრალია?  
გავპაზორდე და ვისესხო  
ეგ ერთი გრები მაკლია.  
ნაშა მევასა ერთი და  
მამა ყავს შიშკა კაციო,  
კაროჩე, მაყუთს ვიშოვით,  
დაგრევით ვიყოთ აწიო.  
შმოტკეებს იმპორტულს ვიადებ,  
გოიმურს აბა ვინ იცმევს,  
ავარდნილ დობრო კაიფში  
ვჯოკრავ ლუბოი თბილისელს.  
მმაკაცები მყავს შუსტრები:  
პეტრო, ნუგო და დათუკი,  
ბრიაჟკა ყველა ვბლატაობთ,  
ვაბშჩე, ვეჩერნი დავტუსტდით.  
მანდრაჟი მოდით რეჩანებს,  
ვუტყდებით ჩორნი ვარონას,  
ვაბითურებთ და ვათოხლებთ,  
თუ გვინდა, იქით გავსტროგავთ.  
ბირჟიდან ავითესებით,  
მოფყურდე, მაგის ჩიტი ვარ?!  
პაკა რა, სიმონ, კაროჩე  
შუსტრად შარაფში მივდივარ.

**მამის პასუხი:**

დღედაღამ შენზე ვზრუნავდი,  
 ვაი, რა მუქთად ვირჯები,  
 სოფელში კაცად გზრდიდი და  
 ქალაქში თურმე ვირდები.  
 ჩემი ბრალია, მუტრუკო,  
 შენ რომ აქამდე მიგიშვი,  
 ვერ აგილესე თოხი და  
 ვერ ჩაგაყენე სიმინდში?  
 ნაფერებ-გალადებულო,  
 გაზრდილო შვილო, ვაგლახო,  
 სადაც გინდოდეს წადი და  
 აქ შენი ფეხი არ ვნახო.  
 ჩამოხვიდოდი, გვეგონა  
 სოფელში, ნასწავლ შვილს გელით,  
 სულ მთლად წასულხარ ხელიდან  
 აწი კი რაღას გიშველით.  
 საჭმელს და სასმელს გიგზავნი,  
 სხვისი სარჩენი რა გჭირდა,  
 იმ თხას დავასხი თავს ლაფი,  
 ვინც შენ ცოლობას დაგპირდა.  
 შე საცოდავო, დაგცინის,  
 გეძახის თურმე ღლაპუტას,  
 ჩამოვა დედაშენი და  
 ვარიასავით გაპუტავს.  
 მაგ სასწავლებელს ნეტავი,  
 ვინმე პატრონი არა ჰყავს?  
 შენსავით ჭკუის კოლოფი  
 კურსებზე როგორ გადაჰყავთ.  
 პირველად მესმის, ღმერთმანი,  
 მასეთი უცხო ქართული,  
 არაბულია, ჩინური, ესპანური თუ თათრული?  
 რა არის, ბიჭო, შარაფი, პონტი, სვეტი და კუტოკი,  
 შენს გაზრდას მართლა მერჩივნა,  
 რომ გამეზარდა ბულდოგი.  
 რა არის ნაშა, გოიმი, ფაიზადი და კაროჩე,  
 ჩემგან ბოტასებს კი არა,  
 ვერ ეღირსები კალოშებს.  
 ამის მეტს ვედარ მოგიტმენ,  
 თვითონ მოგძებნი ყაზახო,  
 ახლოს გაგიცნობ რაცა ხარ,  
 შორიდან ბევრს რომ ტრაბახობ.  
 ჰოდა, მოვდივარ თბილისში  
 და თუ ბიჭი ხარ, დამიხვდი!

თუ დაგიჭირე, იცოდე,  
სიგრძეს სიგანედ გაგიხდი.

**შვილი:**

ეგ რა მომწერე ქაჯურად,  
ჩერეზჩურ გამაპაზორე,  
ტო გეჩე, რა ნაგლად მიტეხავ,  
პაჩტი მიწასთან მასწორებ.  
მე ჩემებურად პონტს ვაგდებ,  
შენ აქეთ მებლატავები,  
მერე რა მოხდა, ნაშასთან  
დავკაიფდი და წავედი.  
ჩემი შუსტრობით მასტები  
იავნი სროკზე მიდიან,  
ოთხი წელია აქა ვარ,  
სროკი არ ამიკიდია.  
ჩემს პრიამოი ძმაკაცებს  
სახლი გონიათ კამერა,  
შენ წონა, ბიჭო, მორფს ვიჩხერ,  
შენ კი ხიშპს ტეხავ მაქედან.  
ამის მეტს ნულარ გარეკავ,  
არ მაწყობს ტუფთა ვიშვიში,  
ბანძი ხარ, იყავ სოფელში  
და იტასავე, ვინ გიშლის?

როგორც ვხედავთ, ამ ერთ პატარა დიალოგურ ლექსში რამდენი ქარგონი და ბარბარიზმია, რომლის ხმარება ზეპირმეტყველებასა და სალიტერატურო ენაში დაუშვებელია. ჩვენ გვაქვს შესატყვისი ქართული სიტყვები, სწორედ ისინი უნდა გამოვიყენოთ და შეძლებისდაგვარად ხმარებიდან უკუვაგდოთ ქარგონები და ბარბარიზმები.

#### გამოყენებული ლიტერატურა

- აბზიანიძე 1959:** აბზიანიძე გ., ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან. თბილისი, 1959.
- ბრეგამე 2005:** ბრეგამე ლ., ქართული ქარგონის ლექსიკონი. თბილისი, 2005.
- გოგებაშვილი 1940:** გოგებაშვილი ი., რჩეული ნაწერები. თბილისი, 1940.
- ენციკლოპედია 1977:** ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბილისი, 1977.
- წერეთელი 1960:** წერეთელი ა., სამი ლექცია ვეფხისტყაოსანზე, ტ. XII. თბილისი, 1960.
- ჭავჭავაძე 1953:** ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, ტ. III., თბილისი, 1953.
- ჭავჭავაძე 1984:** ჭავჭავაძე ი., შინაური მიმოხილვა, თხზულებანი. თბილისი, 1984.